მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი

სიცრუის პანდემია

კორონა-თაღლითებს საერთაშორისო
ტრიბუნალი ემუქრებათ

თბილისი
2020წ.

"ეშმაკმა აღძრა თავისი მორჩილი და ბრმა იარაღი, ისინი, ვინც ატლანტიკის გაღმა ცხოვრობენ, რათა გაევრცელებინა კორონავირუსი, იმ მიზნით, რომ მსოფლიო დაატერორონ, რათა შეამცირონ მოსახლეობა, და, რაც მთავარია, გაძარცვონ ხალხები"

ცნობილი ათონელი ასკეტი ბერი დიონისე მარკისი

"არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ COVID-19 პანდემია ხელსაყრელია გარკვეული მსოფლიო ძალებისთვის, და, მაშასადამე, გარკვეულწილად, შესაძლებელია პანდემია ამ ძალების მიერ იყოს პროვოცირებული და კონტროლირებადი".

მთავარეპოკოპოსი თეოდოსი

"ბოლო დრომდე ეს უცნაური და შეუძლებელი ჩანდა, მაგრამ ეს არ არის ფანტაზია, იმიტომ, რომ ეს ხალხი უკვე საჯაროდ საუბრობს მსოფლიო დიქტატურაზე (როგორც ანტიქრისტეს მოსვლისთვის მზადებაზე). მაგრამ გვესმის კი ეს ჩვენ?".

მღვდელ–მონაზონი ექვთიმე კაპსალელი,
წმ. პაისი ათონელის მოწაფე

"ზიარების კოვზის სტერილიზება – ეს ღმრთის გმობაა".

ბერი გაბრიელ კუტლუმუშელი

სიცრუის პანდემია

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ("ჯმო", იგივე WHO) SARS-CoV-2 კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით პანდემია გამოაცხადა. ასევე რეკომენდაცია (ფაქტობრივად, განკარგულება) გასცა მსოფლიო მასშტაბით საკარანტინო ზომების შემოღების შესახებ. და ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ ამ წლის სიკვდილიანობის მაჩვენებლები სტატისტიკის მიხედვით დიდად არ გამოირჩევა გასული წლების ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში დაავადებების შემთხვევებისა და სიკვდილიანობის რაოდენობების ფონური მაჩვენებლებისაგან. ამიტომ ისმება სამართლიანი კითხვა:

1. იყო თუ არა პანდემიის გამოცხადების საფუძველი?

განსაზღვრებით, რომელიმე ტერიტორიაზე (ქალაქი, რეგიონი, ქვეყანა და ა.შ.) რომელიმე კონკრეტული დაავადების ეპიდემიოლოგიური ზღვარი შეადგენს ამ ტერიტორიის მოსახლეობის 5%. სხვა სიტყვებით, განსაზღვრულ ტერიტორიაზე რომელიმე დაავადება მხოლოდ მაშინ იძენს ეპიდემიის ხასიათს, როდესაც მოცემულ მომენტში, მყისიერად ამ დაავადებით დაავადებულია ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის არანაკლებ 5%–სა. პანდემია კი მაშინ ცხადდება, როდესაც ადგილი აქვს ეპიდემიას მთელი მსოფლიო მასშტაბით.

ჩვენს ქვეყანაში C-19–ით სიკვდილიანობის საერთო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ გასცდენია ბოლო წლების იმავე პერიოდის ჩვეულებრივ საშუალო მაჩვენებლებს. მსგავსი

სიტუაცია შეინიშნება მთელ მსოფლიოში. როდესაც "WHO"–მ 2020 წლის 12 მარტს პანდემია გამოაცხადა, ორგანიზაციის განცხადებაში ითქვა: მსოფლიოში კორონავირუსის თითქმის 90 ათასი შემთხვევა დაფიქსირდა. ეს არის დაახლოებით მთლიანი მოსახლეობის (7.7 მილიარდი ადამიანი) 0.001%, ანუ 5000-ჯერ (?!) დაბალი, ვიდრე 5%-იანი ეპიდემიოლოგიური ზღვარი. იმავე WHO–ს მონაცემებით მსოფლიოში 18 ივლისისათვის დაავადებულთა რაოდენობამ 13876441 მიაღწია, რაც მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 0.18% შეადგენს, ანუ 27–ჯერ ნაკლებს, ვიდრე ეპიდემიის ზღვარი. შესაბამისად, გარდაცვლილთა რაოდენობა, პროცენტული თვალსაზრისით, კიდევ უფრო დაბალია. **ამიტომ ტერმინ «ეპიდემიის», და მით უმეტეს, «პანდემიის» გამოყენება არაკორექტულია და მისი გამოცხადების არანაირი საფუძველი არ არსებობდა**!

მაშ რატომ გამოცხადდა პანდემია და რატომ შემოიღეს დაუსაბუთებელი საკარანტინო ზომები, დაკავშირებული ე.წ. «თვითიზოლაციასთან» და სხვა შეზღუდვებთან, რაც კოლოსალურ ზიანს აყენებს მილიონობით ადამიანის ჯანმრთელობასა და მათ მატერიალურ მდგომარეობას, რის შესახებაც საუბრობენ მეცნიერები? რა მიზნებს ემსახურება ყოველივე ეს? ამაზე პასუხის გასაცემად მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, თუ ვისი მართვისა და გავლენის ქვეშ იმყოფება ტრანსნაციონალური სტრუქტურა WHO.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ცივი ომის პერიოდში აშშ–ში ორი ძმის, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის, ალედ დალესისა და აშშ–ს სახელმწიფო მდივნის, ჯონ დალესის ქტიური მონაწილეობითა და დევიდ როკფელერის ფინანსური მხარდაჭერით 1948 წელს იქმნება WHO, იმისათვის, რომ

კონტროლის ქვეშ ყოლოდათ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ჯანდაცვის სამსახურები. WHO-ს პირველი გენ. დირექტორი იყო როკფელერის ახლობელი და თანამოაზრე, ბროკ ჩისხოლმი.

ამჟამად WHO ფაქტობრივად იმყოფება ბილ და მელინდა

გეიტსების ფონდის, როკფელერის ფონდის და მსოფლიო ბანკის ფაქტობრივი მართვის ქვეშ, რომელთა ხსენებაც უკვე დიდი ხანია არ იწვევს ნდობას ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანებში. WHO–ს ფინანსირების სტრუქტურა შემდეგია: შენატანების 17%–ს იხდიან მონაწილე ქვეყნები, დანარჩენს შეადგენს კერძო შემოწირულებები. როდესაც აშშ–მ უარი თქვა WHO–ს ფინანსირებაზე, მისი მთავარ სპონსორად სწორედ ბილ გეიტსი იქცა. ამასთან, WHO–ს გენ. დირექტორს გეითსის თანხმობის გარეშე ვერ დანიშნავენ. გეიტსის გავლენით ხდება WHO–ს საქმიანობის პოლიტიკის განსაზღვრა. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 2020 წლის თებერვალში მოითხოვდა ბილ გეიტსი WHO–გან კორონავირუსის პანდემიის გამოცხადებას. მაგრამ როდესაც მან 2020 წლის 11 მარტს WHO–ს სტრუქტურული ორგანიზაციებისათვის 50 მლნ. დოლარის ოდენობით ფინანსირება განაცხადა, WHO–მ 12 მარტს კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა.

მრავალი გამოჩენილი მეცნიერი თუ ექიმი, რომელთაც გააჩნიათ დამოუკიდებლობის სანდო ხარისხი და არ არიან მართულნი და პოლიტიკურად ანგაჟირებულნი, ერთხმად აღნიშნავენ, რომ კორონავირუსი SARS-CoV-2 არ შეიძლება მივიჩნიოთ ისეთ პათოგენად, რომელსაც აქვს მაღალი ეპიდემიური პოტენციალი და არის მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის რაიმე სერიოზული საფრთხის მომტანი. საერთოდ, ადამიანების 80% და მეტი ინფექციას მსუბუქი ფორმით, სერიოზული გართულებების გარეშე იტანს, ისევე

როგორც ჩვეულებრივ გაციებას. ამიტომ გატარებულ დრაკონულ შემზღუდავ ზომებს არ აქვთ სამედიცინო დასაბუთება და უფრო დამანგრეველნი არიან, ვიდრე თავად დაავადება. საუბედუროდ, მათ მტკივნეულად დაარტყეს როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ მდგომარეობას ჩვენს ქვეყანაში. მეცნიერები მკვეთრად აკრიტიკებენ დაუსაბუთებელ საკარანტინო ზომებს, დაკავშირებულს ე.წ. «თვითიზოლაციასთან» და სხვა შეზღუდვებთან, რაც კოლოსალურ ზიანს აყენებს მილიონობით ადამიანის ჯანმრთელობასა და მათ მატერიალურ მდგომარეობას.

ზოგიერთი კომპეტენტური მკვლევარი იმასაც აღნიშნავს, რომ ჩვეულებრივი წლიური სეზონური გრიპი (აღარას ვამბობთ ე.წ. ღორისა თუ ქათმის გრიპებზე) ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებელით რამდენჯერმე აღემატება წლევანდელს, მაგრამ WHO–ს უწინ არასოდეს გამოუცხადებია სეზონური გრიპი პანდემიად. მაგალითად, 5 ოქტომბრისათვის მთელს რუსეთში გამოვლინდა 10888 ახალი დაავადებული. ხოლო რამდენიმე წლის წინ, როდესაც გამოჩნდა ახალი ვირუსი H1N1 "ჰონკონგი" მხოლოდ მოსკოვში ერთ დღე–ღამეში სამედიცინო დაწესებულებებს დახმარებისათვის მიმართა 102000–მა პაციენტმა, ანუ თითქმის 10–ჯერ მეტმა. რუსეთში დღეისათვის C19–ის ლეტალურობის კოეფიციენტია 1,75%, ხოლო ე.წ. "ქათმის გრიპს" H5N1–ს ჰქოდა 52,8%, მაგრამ მაშინ პანდემია არავის გამოუცხადებია და კაცობრიობამ გადაიტანა ეს გრიპი. ისეთი საშინელი დაავადება კი, როგორიცაა ტუბერკულოზი, ყოველწლიურად 1,5 მილიონი ადამიანის სიცოცხლეს იწირავს. რატომ არ აცხადებს WHO ტუბერკულოზის პანდემიას, თუ ამავე ორგანიზაციის მონაცემებით მსოფლიოში ტუბერკულოზით ყოველწლიურად 10 მილიონამდე ადამიანი ავადდება? პასუხი მარტივია. იმტომ, რომ ძველი ნაცნობი დაავადებებისგან საფრთხობელის გაკეთება უფრო რთულია, ვიდრე ახალი, უცნობი და, შესაბამისად, შიშის მომგვრელი ვირუსისგან. ამიტომაც გადაწყვიტეს, დაეშინებინათ ხალხი

"საშინელი" ახალი კორონავირუსით. ნიკოლოზ ფილიმონოვი, რუსეთის აკადემიის წევრ–კორესპონდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის დამსახურებული ექიმი აქვეყნებს სტატიას სათაურით: "ვიღაცას დასჭირდა, რომ ძალიან დაეშინებინა კაცობრიობა". აქ კომენტარი ზედმეტია!

ორიოდე სიტყვა ნიღბის სავალდებულო ტარებასთან დაკავშირებით. ნიღბის ტარებისას ამონასუნთქი ნახშირორჟანგის ნაწილი კვლავ შეისუნთქება, რაც ხელს უშლის ფილტვების ჟანგბადით მომარაგებასა და ნიღბის ხანგრძლივად ტარების შემთხვევაში ნეგატიურად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ არის ერთადერთი საფრთხე. ადამიანებს არა აქვთ საშუალება, რომ ყოველ ორ საათში ერთხელ შეცვალონ ნიღაბი და ერთი და იგივე ნიღაბს ატარებენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. შვეიცარიულმა გაზეთმა K-Tipp–მა გამოიკვლია და ლაბორატორიაში შეისწავლა 20 ასეთი ნიღაბი. შედეგი სავალალო აღმოჩნდა: ნიღბები სავსე იყო ბაქტერიებითა და სოკოებით. 20 ნიღაბიდან 11 შეიცავდა 100000 ბაქტერიულ კოლონიას, 3 მათგანი კი – მილიონზე მეტს. და არა მხოლოდ ეს. მიკრობიოლოგებმა ასევე აღმოაჩინეს სტაფილოკოკები 20-დან 14 ნიღაბში, ხოლო ეს ბაქტერიები იწვევს პნევმონიასა და მენინგიტს. გამოკვლეული 20 ნიღაბიდან 15-ში ასევე აღმოჩნდა ობი. შვეიცარიის ჯანმრთელობის ფედერალური სამსახური BAG–ის თანახმად, მას შეუძლია გააღიზიანოს სასუნთქი გზები და თვალები.

82 წლის ცნობილი იტალიელი ექიმ-ვირუსოლოგი ჯულიო ტარო, რომელმაც თავისი სიცოცხლის 60 წელი დაუთმო ვირუსოლოგიის შესწავლას,

იტალიაში კორონა ვირუსით გარდაცვლილების სტატისტიკის შესახებ ამბობს: ***"ჯერ კიდევ ე.წ. ეპიდემიის დასაწყისში იტალიაში ტელევიზიით გამოცხადებული 1000 გარდაცვლილიდან მხოლოდ 18 იყო ვირუსით გარდაცვლილი. უკვე 21 მაისისთვის ტელევიზიით გამოცხადებული 30 000 გარდაცვლილიდან მხოლოდ 124 იყო ვირუსით გარდაცვლილი. ხოლო, 23 ივნისისთვის გარდაცვალების ოქმების მიხედვით არსებული 1000 გარდაცვლილიდან მხოლოდ 48 ადამიანი იყო ვირუსით გარდაცვლილი. ეს რიცხვი ჯამში შეადგენს 190-ს. ყველა დანარჩენი ადამიანი გარდაიცვალა პათოლოგიებით და მათი გარდაცვალება გარდაუვალი იყო".***

ბატონმა ტარომ წიგნი მიუძღვნა ამ ე.წ. ეპიდემიას, რომელსაც ჰქვია "კოვიდი - შიშის ვირუსი".

ზოგადად, კორონავირუსის შესახებ ყველა ოფიციალური ინფორმაცია მნიშვნელოვნად გაზრდილია. ამაზე მიუთითებენ სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი ვირუსოლოგები და ეპიდემიოლოგები. მაგალითად, გერმანიის რობერტ კოხის ინსტიტუტის პრეზიდენტი, ლოტარ ვილერი (რომელიც 20 მარტს გამართულ პრესკონფერენციაზე გამოვიდა), ამერიკელი

ექიმი და მინესოტას შტატის სენატორი სკოტ იენსენი (რომელიც 8 აპრილის Fox News–ის ეთერში გამოვიდა) და სხვები ყვებიან, რომ რითიც არ უნდა გარდაიცვალოს ადამიანი, წერენ, რომ იგი კორონავირუსით გარდაიცვალა, ხოლო გულის უკმარისობას, ინსულტს, შაქრიან დიაბეტს და ა.შ., ყველა ამას ჩამოწერენ, როგორც თანმხლებ დაავადებებს. სენატორი სკოტ იენსენი ხაზს უსვამს, რომ კორონავირუსით სიკვდილიანობის სტატისტიკას ხელოვნურად ქმნიან. მან პირდაპირ ეთერში აჩვენა ინსტრუქცია, რომელიც ამერიკელ ექიმებს ავალდებულებს, რომ პაციენტის გარდაცვალების მიზეზად კორონავირუსი

მიუთითონ, მაშინაც კი, თუ ამასთან დაკავშირებით ლაბორატორიული გამოკვლევა არ გაკეთებულა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ექიმს ევალება სიკვდილის მოწმობაში დაამატოს სიტყვა probable (შესაძლოა): ”პაციენტის სიკვდილი დადგა, შესაძლოა, კორონავირუსის გამო”, და ის საავადმყოფოები, რომლებიც ამ ინსტრუქციას მისდევენ, მიიღებენ 3-ჯერ მეტ თანხას. ფულის გამო ხდება კორონავირუსით სიკვდილიანობის სტატისტიკის შეთითხვნა. იგივე ხდება სხვა ქვეყნებში. საქართველოში არაერთი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც გარდაცვლილის ჭირისუფალს ფული შესთავაზეს იმის სანაცვლოდ, რომ დათანხმდეს ახლობლის გარდაცვალების მიზეზად კორონავუირუსი დასახელდეს.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რატომ ხდება ხელოვნურად შიშის პანდემიის ფორმირება, რა მიზანს ემსახურება ყოველივე ეს? ამის შესახებ უფრო დაწვრილებით მე–4 თავში ვისაუბრებთ. აქ კი აღვნიშნავთ, რომ, ხსენებული მიზნებიდან გამომდინარე, საფუძვლიანი ეჭვები გამოითქმება SARS-CoV-2 ვირუსის ბუნებრივ წარმომავლობასა თუ გავრცელებასთან დაკავშირებით. მრავალი გამოკვლევა აჩვენებს, რომ ვირუსი ლაბოროტორიაში გამოყვანილს ჰგავს და მისი ლაბორატორიიდან გაჟონვაც პროვოცირებულია. მაგალითისათვის, ამერიკელ ჟურნალისტთა გამოკვლევა დოკუმენტური ფილმების სერიის სახით, სახელწოდებით "PLANDEMIA", დოკუმენტურად ადასტურებს გამოთქმულ ეჭვებს. თავად სათაურშია ასახული ის, რომ პანდემია დაგეგმილი მოვლენაა. მე–3 ფილმში სახელწოდებით "პლანდემიური გონებადაბნელებულობა" საუბარია როკფელერის ფონდის მიერ 2010 წელს გამოცემული დოკუმენტის "Scenarios for the Future of Technology and International Development" მე–18 გვერდზე აღწერილი პანდემიის სცენარის ამჟამად მიმდინარე

პანდემიასთან ზედმიწევნით მსგავსებაზე. იმავე ფილმში მოთხრობილია, თუ როგორ გადაიტანეს აშშ–დან ჩინეთის ქალაქ უხანში ვირუსოლოგიის ლაბორატორია, რომელიც კვლავ აშშ–დან ფინანსირდებოდა და რომელშიც გამოყვანილი იქნა C19–ის შტამი, რომელმაც შემდეგ "შემთხვევით" გაჟონა მოსახლეობაში. ფილმში აღნიშნულია, რომ ასეთი გზით გავრცელებულ ეპიდემიასთან დაკავშირებით აშშ–ს შეეძლო ეთქვა, რომ ჩინეთია დამნაშავე, ხოლო ჩინელებს – რომ ეს ამერიკული ვირუსია, და ორივე მართალი იქნებოდაო.

ფრანგი ვირუსოლოგი, ლიუკ მონტანიერი (Luc Antonie Montagnier), 2008 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი, რომელიც მას შიდსის ვირუსის აღმოჩენისათვის მიენიჭა, თავის ინტერვიუში *«ΕΝΩΜΕΝΗ ΡΩΜΗΟΣΥΝΗ»–სთან* C19 ვირუსთან დაკავშირებით აღნიშნავს: **"მეჩვენება, რომ არავის სურს მეტი იცოდეს ამ ცნობილი ვირუსის შესახებ, მით უმეტეს, რომ თქვენ ტელევიზიით განაცხადეთ, რომ ვირუსი ადამიანის ხელით შეიქმნა... მე ვირუსოლოგი ვიყავი და ახლაც ვარ. ჩვენთვის ცნობილია ეს ვირუსი... თუმცა ეს კონკრეტული ვირუსი განსაკუთრებული ჩანს, რადგან იგი დამუშავდა სხვა ვირუსიდან ნაწილების აღების, ან თუნდაც რაღაც ქიმიური შემადგენლობის საშუალებით... ჩვენ ვიწყებთ სიმართლის გაგებას ჩადენილი ბოროტების შესახებ... რატომ გვიშლიან ხელს, რომ უფრო მეტი გავიგოთ ამ შექმნილი ვირუსის შესახებ?.. თვით ამერიკელი, ფრანგი, ინგლისელი მეცნიერები ამბობენ, რომ ეს ვირუსი ბუნებამ შექმნა. ეს სიცრუეა, და ეს მათ კარგად იციან, და ჩვენ უნდა ვიკითხოთ, რა არის ამის მიზეზები? პირველ რიგში ის, რომ მათ ფულს უხდიან, რომ მათ თქვან ის, რასაც ამბობენ, და თუ ასე არ იტყვიან, ისინი თავის ადგილს დაკარგავენ, დაკარგავენ კარიერას, თუკი შეეცდებიან**

სიმართლე გაიგონ. ვფიქრობ, რომ მასმედიაც ასევე დიდ ზეწოლას განიცდის".

2. აღმსარებლობის უფლებების დარღვევა

ქვეყანაში მიღებული საკარანტინო ზომები განსაკუთრებით ზღუდავენ მორწმუნეთა უფლებებს. ხელისუფლების მიერ მორწმუნეთა ღვთისმსახურებაზე დასწრების, საიდუმლოებებში მონაწილეობის, მათ შორის აღსარებისა და ზიარების მიღების, ლიტანიობითა და ლოცვითი მსვლელოების ნებისმიერი შეზღუდვა, ასევე საეკლესიო ცხოვრებასთან, რიტუალთან თუ მორწმუნეთა რელიგიურ–ეთიკურ ქცევასთან დაკავშირებით ეკლესიის მიერ მიღებული განჩინებებისა თუ გადაწყვეტილებების უგულვებელყოფა ანტიკონსტიტუციურია, რადგან:

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 9

1. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.

2. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით...

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

ამასთან, არამც თუ კარანტინი, არამედ თვით საგანგებო თუ საომარი მდგომარეობაც, კონსტიტუციის 46 მუხლის თანახმად,

არ ზღუდავს აღმსარებლობისა და რწმენის უფლებას. "**რწმენისა და აღმსარებლობის სრული თავისუფლება**" გულიხხმობს, კერძოდ, რომ ჩვენს ეკლესიას უფლება აქვს ტაძრებში შეუფერხებლად (ანუ სახელმწიფოს მხრიდან რაიმე აკრძალვებისა და შეზღუდვების გარეშე) შეასრულოს ღვთისმსახურება, რელიგიური რიტუალები, ცერემონიები და საიდუმლოებები, დადგენილი წესით, ეკლესიის შინაგანაწესის შესაბამისად. ეკლესიის საქმიანობისადმი ან ღმრთისმსახურების, სხვა რელიგიური წესისა და ცერემონიების ჩატარებისადმი არამართლზომიერი ხელის შეშლა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს. მიუხედავად ამ ნორმებისა, რიგ შემთხვევაში სახეზეა ტაძრების ფუნქციონირების, კერძოდ, მორწმუნეთა მომსვლელობის შეზღუდვა დროსა და სივრცეში. ეს განსაკუთრებით მტკივნეულად განხორციელდა აღდგომის დღესასწაულის პერიოდში.

მთელი რიგი ზომებისა შეურაცხყოფენ მორწმუნეთა რწმენას, საეკლესიო ცხოვრების საფუძვლებს. მაგალითად, ეჭვის შეტანა იმაში, რომ ზიარება განწმენდს ადამიანსა და რომ ის არ შეიძლება იყოს ინფიცირების წყარო, ზიარების კოვზის დეზინფიცირება თუ ზიარებისთვის ერთჯერადი კოვზების გამოყენება არის მკრეხელობა, ღმრთის გმობა და ჩვენი რწმენის შეურაცხყოფა. კანონის უხეშ დარღვევად შეიძლება შეფასდეს "**რწმენისა და აღმსარებლობის სრული თავისუფლების**" ისეთი დარღვევები, როგორიცაა საერო ხელისუფლების მოთხოვნები რელიგიურ დაწესებულებებში ან მათ კუთვნილ შენობებში, ნაგებობებში, ტერიტორიებზე მოქალაქეების სტუმრობის შეზღუდვასთან დაკავშირებით, ტაძრებში ერთჯერადი აქსესუარებისა და ჭურჭლის (კოვზების) შეძენასა და რელიგიური წესის, კერძოდ ევქარისტიის საიდუმლოს აღსრულების დროს მათ გამოყენებასთან დაკავშირებით, ტაძრისშიდა სივრცის დეზინფიცირებასთან დაკავშირებით და ა.შ.

ამის შესახებ საპატრიარქოს 25.03.2020 განცხადებაშიც არის ნათქვამი: ***"განსაკუთრებით უპირისპირდებიან ზიარების ათასწლოვან პრაქტიკას, როდესაც ასეთი პოზიციის მქონეთა უმრავლესობას არა აქვს სათანადო ცოდნა ან რწმენა აღნიშნული საიდუმლოს სულიერი მნიშვნელობისა. ერთი ბარძიმიდან ზიარება მრევლის ქრისტესთან და ერთმანეთთან ერთობის და სიყვარულის უმაღლესი დადასტურებაა. ხოლო ვინც ამაზე ამბობს უარს, უარს ამბობს მაცხოვარზე... ტაძარში მსახურებაზე დასწრების აკრძალვა კი მათთვის, ვისთვისაც ეს სასიცოცხლოდ აუცილებელია, არის გაუმართლებელი და დანაშაული ღვთის წინაშე... 2020 წლის 20 მარტის სინოდის განჩინებისამებრ, კვლავაც ყველას (ეკლესიაში მოსულთ და სახლში დარჩენილთ) მოვუწოდებთ ლოცვისკენ, საკუთარ თავში ჩაღრმავებისა და ცოდვათა გაცნობიერებისაკენ. გულწრფელი სინანულის, აღსარებისა და ზიარებისაკენ, რათა წმინდა სისხლი და ხორცი ქრისტესი გვექმნას საკურნებლად სულისა და ხორცისა".***

მსგავსი სულისკვეთებაა წმინდა ათონის მთის 29.04–12.05 ჩატარებული კინოტის განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერს მთაწმიდის ოცივე მონასტერი: ***"წმინდა ზიარება არის განწმენდის, ცხონების, იმედის, სინათლისა და ღმერთში ცხოვრების წყარო და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ინფექციური დაავადებისა თუ სხვა რაიმე ბოროტების გადაცემის მიზეზი. ამას ადასტურებს ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება და სწავლება. წმინდა კინოტი არ ეწინააღმდეგება კორონავირუსისაგან დაცვის ზომებს... მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ ამ ზომებმა შეზღუდონ მორწმუნეები, მონაწილეობა მიიღონ ეკლესიის წმინდა საიდუმლოებებში. თანამედროვე რთულ ვითარებაში პანდემიის დროს ჩვენ კიდევ უფრო მეტად***

გვმართებს, ვეძიოთ სიახლოვე ღმერთთან, მივიღოთ ის გადამრჩენი საშუალებები, რასაც ეკლესია გვაძლევს... მოვაწყოთ ლიტანიობით მსვლელობები, წავიკითხოთ განსაკუთრებული ლოცვები და ჩავატაროთ განსაკუთრებული ღვთისმსახურებები...".

მორწმუნეთათვის გადაჭარბებული შეზღუდვების დაწესებას უკვე მრავალი ავტორიტეტული სასულიერო პირი ადარებს მართლმადიდებელთა დევნას. აღნიშნავენ, რომ ახდა წმ. სერაფიმე ვირიცელის წინასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ *"დადგება დრო, როდესაც დევნა მიიღებს ყველაზე დახვეწილ, წინასწარ განუჭვრეტელ ხასიათს"*. და ეს დროს ახლა მოვიდა... სახეზეა ხალხის უხეში განეკლესიურების მცდელობა ტიპიური ბოლშევიკური მეთოდით: არ დაუშვან მორწმუნეები ღმრთისმსახურებაზე.

საერო ხელისუფლების იმ მოთხოვნებს, რომლებიც ზღუდავენ ეკლესიის წესდებისეულ მოღვაწეობას ერთობლივ აღმსარებლობასა და რწმენის გავრცელებასთან დაკავშირებით, რომლებიც უხეშად არღვევენ რელიგიური გაერთიანებების საქმიანობაში სახელმწიფოს ჩაურევლობის კონსტიტუციურ პრინციპს, რითაც ხელყოფენ რელიგიური გაერთიანებების ავტონომიას რელიგიური მსახურების შესრულების შიდაკონფესიური წესების სფეროში, ასევე სახელმწიფოს მიერ ღვთისმსახურების, სხვა რელიგიური რიტუალებისა და ცერემონიების ჩატარების დროს სანიტარული და ეპიდემიოლოგიური მოთხოვნების დადგენისას, კანონით აკრძალულია ეკლესიის საქმიანობაში ჩარევა. კანონის აღნიშნული ხასიათის დარღვევები სისხლის სამართლებრივ დანაშაულს წარმოადგენს და მოვითხოვთ, გამოძიებულ იქნეს ეს შემთხვევები განვლილ პერიოდში და მიღებული იქნას შესაბამისი ზომები, რათა მომავალში არ მოხდეს მათი გამეორება.

ასევე კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ გარედან თავსმოხვეული ზომები, მოთხოვნები თუ რეკომენდაციები,

რომლებიც ლახავენ მოსახლეობის ხსენებულ და სხვა უფლებებსა და თავისუფლებებს, არ იქნეს მხედველობაში მიღებული. მეტადრე, როდესაც თვალნათლივია ამ მოთხოვნათა გამცემი ორგანიზაციების პოლიტიკური, ფინანსური თუ სხვა ხასიათის მიზნები.

3. დაუშვებელია ტაძრებში ღმრთისმბრძოლი და მკრეხელური ზომების დაწესება

მრეხელურია ტაძრის შიდა სივრცის, ხატების, განსაკუთრებით კი საკურთხევლის დეზინფიცირების ზომების, ასევე ტაძრებში ე.წ "საკარანტინო დისტანციის" და მსგავსი ღმრთისმბრძოლი საკარანტინო ზომების დაწესება, რაც ხდება მრავალსაუკუნოვანი წმინდამამობრივი გადმოცემის საწინააღმდეგოდ, რომელიც მოწმობს, რომ ტაძარი – ეს ისეთი ადგილია, სადაც საიდუმლოებებისა და მორწმუნეთა ერთობლივი ლოცვით ყველაზე მეტად მოქმედებს ღმრთის ხელთუქმნელი მადლი. ეს კი გამორიცხავს ინფექციის გადაცემის შესაძლებლობას. ***"ტაძარი – ეს არის განწმენდის წმინდა ადგილი"***, ასწავლიან წმინდა მამები (წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი). არა მხოლოდ სულიერი განწმენდისა, არამედ ფიზიკური განწმენდისაც. ჩვენ კი, წმინდამამობრივი გადმოცემის საწინააღმდეგოდ, დავეთანხმეთ ეკლესიებში მორწმუნეების არდაშვებას, ***"თითქოს ეკლესიაში ყველაფერი იმდენად ბინძური და უწმინდურია, რომ ეკლესია ინფექციის წყაროა"***, - როგორც ეს აღნიშნა მთაწმინდის ლავრის მოძღვარმა, მიტროპოლიტმა არსენიმ. მან ხაზი გაუსვა, რომ ტაძარი – ეს კურნების წყაროა.

ცნობილ ბერძნულ ჟურნალ "ΟΡΘΟΔΟΞΟΣ ΤΥΠΟΣ"–ის ა.წ. 1 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში "Ἡ βλάσφημη αἵρεση περί μολυσμοῦ στό ναό", ეკლესიის დასნებოვნების შესახებ მოსაზრება სახელდებულია როგორც ღმრთისგმობი მწვალებლობა. წმინდა მამების ერთსულოვანი აზრით ტაძარი,

როგორც **"ხალხის განწმენდის წმინდა ადგილი"** (წმ. გრიგოლ პალამა), განწმენდს და გააუვნებელყოფს ნებისმიერ ინფექციას და ამიტომ ინფექცია არ გადაეცემა ტაძარში, ამ "მიწიერი სამოთხის" შიგნით (წმ. იოანე კრონშტადელისა და სხვა წმინდანების სიტყვებით). როგორ შეიძლება სამოთხეში დასნებოვნება? რამდენჯერ ჩაატარეს მეცნიერებმა ეკლესიებში ხატსზედა თუ წმ. ნაწილებსზედა მინის მიკრობიოლოგიური გამოკვლევა და ყოველთვის რწმუნდებოდნენ: ეს მინა განუხრელად სტერილური რჩება. ამიტომ არ არსებობს მცირეოდენი საფუძველიც კი იმისათვის, რომ ეპიდემიის დროს ეკლესიიდან გაყარონ ხალხი, რადგან სახარებაში ნათქვამია, რომ ტაძარი არის ღმრთის საგანგებო სავანე: ***"და რომელმან ფუცოს ტაძარსა, ფუცავს საყდარსა ღმრთისასა და რომელი ზის მას ზედა"*** (მათე, 23,21). და ბოლოს, სახარება მოგვიწოდებს: **"ხოლო რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ** (იოანე, 6,54).

იგივე აზრია გატარებული საქართველოს სინოდის 20.03.2020 განცხადებაში: ***"ჩვენ, ეკლესიის წევრები, არ ვუშინდებით და არ გავურბივართ განსაცდელს, არამედ ვიღებთ თავმდაბლობით და ვეძიებთ მისი დაძლევის გზებს. ასეთ დროს მორწმუნეები, განსაკუთრებით კი წმინდა და დიდი მარხვის პერიოდში, აძლიერებდნენ მარხვასა და ლოცვას. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საზოგადოებაში გაჩნდა კითხვები, თუ რამდენად საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს ტაძარში მორწმუნეთა სიმრავლე და ღვთისმსახურებაში მონაწილეობა. ეკლესიის ყველა საიდუმლოება სული წმინდის მოქმედების სფეროა, სადაც აღესრულება ღვთაებრივი სასწაული, რომელიც განაღმრთობს და მარადიულ ცხოვრებასთან თანაზიარყოფს ადამიანს. ადგილი სულიწმინდის განსაკუთრებული მოქმედებისა არის ტაძარი. ევქარისტია არის ქრისტიანული ცხოვრების მთავარი***

არსი; ევქარისტიული კავშირი გვაერთიანებს უფალ იესო ქრისტესთან და ერთმანეთთან; წმინდა ზიარება არის საკურნებელი სულისა და ხორცისა მათთვის, ვინც რწმენითა და საეკლესიო წესების დაცვით ეზიარება. ამიტომაც, ეკლესიის წევრებისათვის ზიარების საიდუმლოების არსში დაეჭვება და მოქმედებით ამის გამოხატვა, მაგალითად, საზიარებელ საერთო კოვზზე უარის თქმა, როგორც ინფექციის გადამტან წყაროზე, ყოვლად მიუღებელია".

თანამედროვე ათონის ერთ–ერთი ავტორიტეტული მოძღვარი, ეფრემ კაპსალელი თავის მიმართვაში საბერძნეთის მაგალითზე აღნიშნავს, რომ ის დამცავი ზომები, რომელიც მთავრობამ დააწესა, არის ანტიკონსტიტუციური, დამამძიმებელი, გადაჭარბებული და უსამართლო მართლმადიდებლების მიმართ, და ისინი ქმნიან ტერორის ატმოსფეროს, რასაც მედია უსაშველოდ ბერავს.

ეკლესიის ისტორიაში მრავლად ყოფილა ეპიდემიის შემთხვევები, გაცილებით უფრო მომსვრელისა, ვიდრე C-19–ია, მაგრამ ისტორიამ არ იცის არც ერთი შემთხვევა, რომ კარები დაეკეტათ მორწმუნეთათვის ან რაიმე შეზღუდვა დაეწესებინათ. პირიქით, ამ დროს მოუწოდებდნენ მრევლს ტაძრებისაკენ, ლოცვების გაძლიერებისა და ლიტანიობისაკენ. მაგალითისათვის, ბიზანტიელი მირონცხებული მეფეების დროს ეპიდემიების შემთხვევაში კონსტანტინოპოლში აწყობდნენ ლიტანიობებს, დიდებულებსა და ხალხმრავლებს, უადგილო "სანიტარული დისტანციების" გარეშე – და ღმერთი მოწყალებას იღებდა. IX საუკუნეში ასეთი ლიტანიობების შემდეგ სასწაულებრივად წყდებოდა ზაფხულის ეპიდემიები: შავი ჭირი, ქოლერა და სხვა. ამ ლიტანიობების ხსოვნის აღსანიშნავად ბიზანტიის დედაქალაქში ძველი სტილით 1

აგვისტოს, მიძინების მარხვის პირველ დღეს დადგინდა "შემოყვანება პატიოსანთა ძელთა უფლისა ცხოველსმყოფელისა ჯვარისა". ლიტანიობებზე ქოლერის ეპიდემიის დროს დადიოდა ყველა – პატრიარქი, სამღვდელოება, იმპერატორი, ხალხი. ხალხმრავალი ერთობა ღაღადებდა ღვთის წინაშე გადარჩენის შესახებ, და ღმერთი იწყნარებდა მათ ვედრებას. ამის ნათელი მაგალითი თვალწინ გვიდევს ამჟამინდელ C19-თან დაკავშირებით: საქართველოში არ აიკრძალა ღმრთისმსახურება, ერმა ილოცა განსადელის თავიდან ასაცილებლად და შედეგად საქართველოში სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, მსხვერპლი გაცილებით მცირე იყო. მეტიც, იგი ყოველწლიურ ფონურ მაჩვენებელზე დაბალიც კი იყო. იღვაწეს ექიმებმა, მაგრამ არა მხოლოდ მათ, არამედ ეკლესიამაც, მორწმუნე ხალხმა. ერმა გააძლიერა ლოცვა და ღმერთმაც მოიღო წყალობა, აგვარიდა მომეტებული სიკვდილიანობა. ვისაც სულიერი თვალები და ყურები ასხია, ისინი ხედავენ ამას, ურწმუნონი კი – ვერა. სამწუხაროა, რომ ისეთთა შორის, ვინც მრევლს დაუკეტა კარები, სასულიერო პირებიც არიან. სასიხარული კი ის არის, რომ ასეთნი საკმაოდ მცირედნი არიან, ისინი, ვინც სავარაუდოდ მართულნი არიან.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მასობრივი ინფორმაციის მართული (არამართული, ფაქტობრივად, აღარ არსებობს) საშუალებების საქმიანობა შიშის ვირუსის, საზოგადოდ, დეზინფორმაციიის გავრცელებასთან დაკავშირებით. ისინი განსაკუთრებით იბრძვიან ეკლესიის წინააღმდეგ, ბრალს დებენ მას ვირუსის გავრცელებაში და ა.შ. ხშირად გაიგონებდით კითხვას: "ნუთუ რაღაც რიტუალები, წეს–ჩვეულებანი და ტრადიციები საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე უფრო მნიშვნელოვანია?". ვუპასუხებთ მათ: დიახ, უფრო მნიშვნელოვანია! მარადიული ცხოვრება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ამასოფლური და

დროებითი, მათ შორის ჯანმრთელობა. დავამატებთ: საზოგადოების ჯანმრთელობა, ფართო გაგებით, განისაზღვრება ამ საზოგადოების თავისი ტრადიციებისადმი ერთგულებითა და ცივილიზაციური ინდენტობისადმი მდგრადობით. საეკლესიო წეს–ჩვეულებები კი დადებითად, მაკურნებელად, რიგ შემთხვევაში – გადამრჩენად მოქმედებს საზოგადოებაზე. გახსოვთ, ღმერთი შეპირდა აბრაამს, რომ ათი მართლის არსებობის სანაცვლოდ დაინდობდა სოდომსა და გომორს. სწორედ ლიბერალური მასმედია ემსახურება იმას, რომ მართალი, კეთილმორწმუნე და ზნეობრივი ადამიანი აღარ არსებობდეს ქვეყნიერებაზე. მეორე მხრივ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ეკლესია ეხმარება მორწმუნეებს აღსარებითა და ზიარებით შეინარჩუნონ სულისა და ხორცის ჯანმრთელობა, ლოცულობს მთელი საზოგადოების ჯანმრთელობისათვის და შედეგიც არ აყოვნებს.

მივმართავთ ჩვენს პატრიარქს: თქვენო უწმინდესობავ, გთხოვთ, მიმართოთ ხელისუფლებას მოთხოვნით, რომ გააუქმონ სინიტარული ზომების მოთხოვნა ღმრთისმსახურებების დროს, როგორც არასაჭირო, უადგილო და მკრეხელური ზომა ღმრთის ტაძრებში, ასევე გააუქმოს ღმრთისმბრძოლი აკრძალვა მასობრივი ლიტანიობით მსვლელობებისა და ლოცვებისა, ასევე გააუქმოს რეპრესიული აკრძალვა მოხუცებულებთან დაკავშირებით.

როგორც ვხედავთ, მსოფლიო ძალებმა წამოიწყეს ეკლესიის დევნის პროცესი. ამიტომ ეკლესიას დასჭირდება ძალისხმევის გამოჩენა, რათა შეინარჩუნოს დამოუკუდებლობა და თავისუფლება, წინ აღუდგეს გარე მტერსა და შიდა გამცემებს.

4. რა მიზნები ამოძრავებთ მსოფლიო ძალებს?

პანდემიის მიზნებთან დაკავშირებით მრავალი ცნობილი სასულიერო თუ საერო პირი საუბრობს. ცნობილი ათონელი ასკეტი ბერი, დიონისე მარკისი აღნიშნავს: ***"ეშმაკმა აღძრა თავისი მორჩილი და ბრმა იარაღი, ისინი, ვინც ატლანტიკის გაღმა ცხოვრობენ, რათა გაევრცელებინა კორონავირუსი, იმ მიზნით, რომ მსოფლიო დაატერორონ, რათა შეამცირონ მოსახლეობა, და, რაც მთავარია, გაძარცვონ ხალხები"*** (იხ.ΣΤΥΛΟΣ ΟΡΘΟΔΟΞΙΑΣ ΤΕΥΧ. 219 ΜΑΡΤΙΟΣ 2020).

1. ფინანსური ინტერესი

პანდემიის გამოცხადება და მსვლელობა დიდ მოგებას აძლევს მის სავარაუდო ორგანიზატორებსა თუ ხელშემწყობებს. ბილ გეითსმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 50 მილიონიანი "ქრთამის" საფასურად "WHO"-საგან ა.წ. 12 მარტს პანდემიის გამოცხადებას მიაღწია. ამერიკულმა გამომცემლობამ "ფოქს ბიზნესმა" ა.წ. 21 მაისს გამოაქვეყნა მონაცემები სათაურით: **"აშშ–ს მილიარდერები კორონავირუსის პანდემიის დაწყებიდან 434 მილიარდით გამდიდრდნენ"**. 5 ივნისისთვის ეს თანხა 565 მილიარდამდე გაიზარდა. ზოგიერთი ექსპერტი ამ ფაქტს კარგად დაგეგმილ ფინანსურ ოპერაციას უწოდებს და მიიჩნევს, რომ გარკვეულმა პერსონებმა წინდაწინ იცოდნენ იმის შესახებ, რომ პანდემია გამოცხადდებოდა. შესაბამისად, განახორციელეს გარკვეული აქტივობები, რამაც მათ დიდი მოგება მოუტანა. ხსენებული გამომცემლობა "ფოქს ბიზნესი" ადასტურებს, რომ "პანდემიის" რამდენიმე თვის განმავლობაში ბილ გეითსმა 8 მილიარდიანი მოგება ნახა. დიდი მოგებები ნახეს ჯიზეფ ბეზოსმა (ამაზონის მფლობელმა) 50 მილიარდის სახით, მარკ

ცუკერბერგმა (ფეისბუკის მფლობელმა) – 30 მილიარდი, როკფელერის ფონმა – 10 მილიარდი და ა.შ.

ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში ბილ გეითსმა საცდელი სავარჯიშო კონფერენცია–თამაშობები ჩაატარა თემაზე: რა მოხდება, თუკი მსოფლიოში საშინელი ეპიდემია გაჩაღდება? იმ დროისთვის მსოფლიოში ყველა ეკონომიკური ანალიტიკოსი აცხადებდა, რომ ინტერნეტ–გიგანტები ზედმეტად გადაფასებულნი არიან და პროგნოზირებდნენ ფეისბუკის, ამაზონის, მაიკროსოფტისა და სხვა გიგანტების "ჩამოშლას". პანდემიის გამოცხადებამ კი არა მარტო ეს ჩამოშლა აარიდა მფლობელებს, არამედ დიდი მოგებაც მოუტანა.

პანდემია სხვა მოგებასაც უქადის ბილ გეიტსს – ესაა ვაქცინის შემუშავება და საყოველთაო ვაქცინაციის შესახებ შეთანხმების მიღწევა, რაც მრავალმილიარდიან შემოსავალს მისცემს მას.

2. საყოველთაო სავალდებულო ტესტირებისა და ვაქცინაციის შესახებ შეთანხმების მიღწევა

ამერიკელი მილიარდერი ბილ გეიტსი, რომელიც "WHO"–ს საქმიანობას აფინანსებს და რომელიც ასევე სკანდალურად ცნობილია უღარიბეს ქვეყნებისთვის ”საქველმოქმედო”, სინამდვილეში ჯანმრთელობისთვის მავნე ვაქცინების მიწოდებით, 2020 წლის 2 აპრილს ამერიკულ სატელევიზიო პროგრამა Daily Show–სთან ინტერვიუში იქამდეც მივიდა, რომ წამოაყენა მთელს მსოფლიოში ადამიანების კორონავირუსზე საყოველთაო ტესტირების იდეა. სხვათა შორის, იმავე

სატელევიზიო პროგრამაში იგი კორონავირუსზე საყოველთაო ვაქცინაციასაც პროგნოზირებს. მაისში კი გეითსმა გამოაქვეყნა სტატია ფრანგულ გაზეთ Le Monde–ში, სადაც კვლავ განაცხადა: საჭიროა, რომ ვაქცინირება მოხდეს ერთდროულად მთელს მსოფლიოში. მასმედიაში იხილავთ განცხადებას: **"ბილ და მელინდა გეითსების ფონდი – საჭირო იქნება 7 მლრდ ადამიანის ვაქცინაცია"**. ეს არის ის, რასაც გლობალისტები ჩვენ მომავლისთვის გვიმზადებენ. საყოველთაო ტესტირება კი – ეს პირველი ფაზაა. იქნებ ტესტირება უსაფრთხო პროცედურაა? სამწუხაროდ არა, – ამას იმის გათვალისწინებით ვამბობთ, რომ ინფიცირების მასშტაბების გაზრდაში "პანდემიის" ორგანიზატორები თავად არიან მეტად დაინტერესებულები.

ბოიარიის მთავარეპოკოპოსმა თეოდოსიმ კიევო–პეჩორის ლავრასა და სხვა მონასტრებში ინფიცირებასთან დაკავშირებით აღნიშნა: "ვინ თქვა, რომ ისინი დასნეულდენ ტაძრებში, და არა ტესტირების დროს?" ეს კითხვა სამართლიანია იმ სკანდალის გათვალისწინებით, რომელიც გაჩაღდა კორონავირუსის ტესტებთან დაკავშირებით. ლუქსემბურგის შუამავალმა ფირმამ Eurofins-მა 2020 წლის 30 მარტს ოფიციალური წერილით აცნობა დიდი ბრიტანეთის სამთავრობო ლაბორატორიებს აშშ-დან მიღებული ტესტების დასნებოვნების შესახებ. სწორედ თითოეული ტესტის მთავარ შემადგენელ ნაწილებში – ზონდებსა და კაფსულებში – აღმოაჩინა Eurofins–მა C-19–ის ვირუსი. **ხალხს ასნებოვნებენ ტესტების საშუალებით!** ეს შოკისმომგვრელი ახალი ამბავი აცნობა მსოფლიოს პოპულარულმა გაზეთმა **"ტელეგრაფმა" («The Telegraph»)** 2020 წლის 31 მარტს, სათაურით ***"წარმოიშვა კორონავირუსის ტესტირების შეფერხება მას შემდეგ, რაც ტესტირების კომპლექტებში COVID-19 აღმოაჩინეს"***. კორონავირუსის ტესტებში თავად კორონავირუსის აღმოჩენის შესახებ ასევე განაცხადა კიდევ ერთმა გაზეთმა – ამერიკულმა **«The Washington Post»**–მა 2020 წლის 18 აპრილს. ამას მივყავართ

ლოგიკურ დასკვნამდე, რომ გარკვეული მსოფლიო ძალები ცდილობენ "პანდემიის" ხელოვნურად შექმნას COVID-19–ის დასნებოვნებული ტესტირების მოწყობილობების საშალებებით. Pochaev.org.ua–ს ცნობით, მთავარეპოკოპოს თეოდოსის მნიშნელოვანი საფუძველი ჰქონდა ემტკიცებინა, რომ ***"არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ COVID-19 პანდემია ხელსაყრელია გარკვეული მსოფლიო ძალებისთვის და მაშასადამე, გარკვეულწილად შესაძლებელია პანდემია ამ ძალების მიერ იყოს პროვოცირებული და კონტროლირებადი"***. მთავარეპისკოპოსის სიტყვები განსაკუთრებულ წონას იძენს "WHO"–ს გენერალური დირექტორის განცხადების კონტექსტში მსოფლიოს გაერთიანების აუცილებლობის შესახებ მსოფლიო გლობალური მთავრობის ეგიდის ქვეშ.

The Washington Post

Democracy Dies in Darkness

რაც შეეხება სამომავლო მიზანს საყოველთაო ვაქცინაციასთან დაკავშირებით, ის კიდევ უფრო მეტი საფრთხის შემცველია და მრავალ კითხვას ბადებს. გავიხსენოთ თუნდაც 2005 წელს



პენტაგონში ჩატარებულ კონფერენციაზე ბილ გეიტსის გამოსვლა, სადაც იგი სთავაზობდა პენტაგონს, რომ შემუშავებულ ყოფილიყო ვირუსი, რომლიც ჩაინერგებოდა ადამიანში და რელიგიურ ფუნდამენტალისტებს აშშ–ს მიმართ ლოიალურებად აქცევდა. აი, ციტატა პენტაგონში გამოსვლიდან: "ეს არის **რესპირატორული ვირუსები**, ეს არის გრიპი ან კორონავირუსები, და ჩვენ ვთვლით, რომ ეს არის საუკეთესო საშუალება მთელი გეგმის განსახორციელებლად, რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანები დაავადდებიან ვირუსებით. ვირუსი ჩაინერგება ადამიანში და მოხდება მისი მუტირება და ფანატიკური ადამიანიდან ჩვენ გავაკეთებთ ნორმალურ ადამიანს. და ახლო აღმოსავლეთში

ამას ექნება განსაკუთრებული ეფექტურობა" (https://www.youtube.com/watch?v=jRg41D8SOq0).

სიცრუის აპოლოგეტებმა ინტერნეტში გამოაქვეყნეს წერილი, რომელშიც ამტკიცებენ, რომ პენტაგონში გამოსული პიროვნება ბილ გეიტსი არ არისო. ჯერ ერთი, ის, რომ ასეთი კონფერენცია შედგა და პენტაგონში ხსენებული საკითხები განიხილებოდა, ამას არ და ვერ უარყოფენ. მეორეც, მომხსენებელი სახითაც და ხმითაც ბილ გეიტს ჰგავს და თავის დროზე ინფორმაციაც კონფერენციის შესახებ ასე გავრცელდა. მესამეც, ეს სწორედ ბილ გეითსის თემატიკაა. სხვა გამოსვლაში იგივე ბილ გეითსმა ისეთი ვაქცინის შემუშავება დააანონსა, რომელიც მსოფლიოში ჭარბმოსახლეობის პრობლემის გადაჭრას შეუწყობდა ხელს. სამიზნე, ძირითად, განვითარებადი ქვეყნები იქნებოდნენ. თუ აქვე გავითვალისწინებთ ებოლას ეპიდემიასთან დაკავშირებით მის მიერ ვაქცინის შეტანას, რომელმაც ასობით ბავშვის სიკვდილი და ათასობით ადამიანის სტერილიზაცია გამოიწვია, ცხადი ხდება, თუ რა გეგმები და მიზნები ამოძრავებს ბატონ გეიტსსა და მის პარტნიორებს.

საინტერესოა, რომ ისრაელში ახალ ტალღასთან დაკავშირებით ტესტირების ზრდის ფონზე მოულოდნელი იყო მსოფლიო ებრაელობის ავტორიტეტის, რაბინ ჰაიმ კანიევსკის მითითება, რომელიც მან მისცა რელიგიური სემინარიის მოწაფეებს იმასთან დაკავშირებით, რომ არ ჩაიტარონ ტესტირება. იქნებ ეს დემარში დაკავშირებულია დასნებოვნებული ტესტების იმ სკანდალთან, რომლის შესახებაც ზემოთ ვწერდით? ან იქნებ რაბინმა ისეთი რამ იცის, რაც რიგითი მოქალაქისთვის მიუწვდომელია?

ამერიკელი ექიმები, რომლებიც გამოდიან ვაქცინაციის წინააღმდეგ, ამტკიცებენ, რომ COVID-პანდემია დაიწყო, უპირველესად, კომერციული და როკფელერის ფონდის გეგმა 1–3–30–ის მიზნების შესაბამისად. ამ გეგმის მიხედვით (იხ. Research Program on COVID-19/SARS-COV-2) **"აშშ–ში ყოველკვირეულად უნდა ჩატარდეს 30 მლნ. ტესტი, რომლის**

რეალიზაცია დაჯდება 100 მილიარდი დოლარი". ამასთან დაკავშირებით ცნობილი მეცნიერი მედიცინის დარგში, დოქტორი ჯიმ სტოუნი ამბობს: ***"COVID-ზე ტესტები, რომლებიც როკფელერის გეგმა 1–3–30–ის შესაბამისად ხორციელდება მთელს მსოფლიოში, არის ოპერაცია "კორონავირუსის" მიმდინარე ფაზის მთავარი ფოკუსი. რაც მეტ ადამიანს გაუკეთებენ ტესტს, მით მეტ დაავადების მქონე ადამიანებს არეგისტრირებს სტატისტიკა. ხომ არ წარმოადგენს ეს ტესტები სინამდვილეში ეშმაკურ საშუალებას, რათა მოიპოვონ საიდუმლო წვდომა ჩვენი სხეულის შინაგან ორგანოებზე, განსაკუთრებით ტვინზე?".*** მოგვყავს ამონარიდი დოქტორ სტოუნის კორონავირუსთად დაკავშირებით ჩატარებულ კონფერენციაზე გამოსვლიდან, სადაც ის საუბრობს როკფელერის ტესტებთან დაკავშირებულ საშიშროებებზე, როდესაც კონსპიროლოგია რეალობას ემსგავსება:

"ცხვირის ტამპონების გამოყენება (რომელსაც ეწოდება ცხვირ–ყელის ანუ ოროფარინგეალური) არაბუნებრივად გრძელია (დაახლოებით 15 სმ.), ისინი აღწევენ ცხვირის ღრუს ყველაზე უკანა ნაწილებს. არის კი რაიმე სამედიცინო ხასიათის მიზეზი, რომლის თანახმადაც ნაცხი ასე ღრმა ნაწილიდან უნდა იქნას აღებული? ტესტები ისეთ ვირუსთან დაკავშირებით, რომლებიც გადაეცემა ჰაერ–წვეთოვანი გზით, და მათ განეკუთვნება COVID-იც, არ ითხოვენ ასეთ ღმა არიდან ნაცხებს. თვით დნმ–ტესტები კეთდება პირის ღრუდან უბრალო ნაცხის აღებით... რაღაც ისე არ არის ამ ტესტებთან დაკავშირებით. შეიძლება, რომ ეს ტესტები საიდუმლოდ გამოყენებულ იქნას ადამიანთა დასნებოვნებისათვის (ავადმყოფობის რაიმე აღმგზნების გამოყენებით) ან ისეთი ნანოტექნოლოგიის იმპლანტაციისათვის, როგორიცაა მიკროჩიპები, რაზეც ასე ოცნებობს გეიტსი? ექიმებმა გამოარკვიეს, რომ COVID–ი ტოვებს ხანგრძლივ ნევროლოგიურ პრობლემებს და ტვინის დაზიანებას. მაგრამ მე მინდა ვიკითხო – ნამდვილად ვირუსი აკეთებს ამას, თუ ამაში დამნაშავე ტესტები არიან?... თუკი

ნანო–ჩიპის შემმუშავებლებს უნდათ ჩანერგვის ადგილის პოვნა, მაშინ ცხვირის ღრუს ძვალ os ethmoidale–ზე უკეთეს ადგილს ვერ იპოვნიან, მის ნახევარზე მეტს ნერვები შეადგენენ და ნებისმიერი, ვინც შეეცდემა მისგან ჩიპის ამოღებას, სიკვდილს გაეთამაშება. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქმე მონსტრებთან გვაქვს, რომელთაც არა აქვთ ადამიანური სინდისი, ამიტომ ფხიზლად უნდა ვიყოთ, და მზად ვიყოთ ნებისმიერი სცენარისათვის, რომელიც ჩვენ ასე წარმოუდგენლად გვეჩვენება".

საყოველთაო ვაქცინაციის შესახებ თავისი მოსაზრება გამოთქვა მთაწმინდელმა ბერმა პავლემ (ბიოლოგმა, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორმა მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიომედიცინის დარგში). მან დაწერა: *"სავარაუდოდ (და ეს უკვე დროის საკითხი იქნება), ერთი გლობალური ვაქცინაცია თანდათანობით გადაიზრდება მთელს მსოფლიოში (კორონავირუსის წინააღმდეგ) რეგულარული ვაქცინაციის შემოღებაში".* რატომ? იმიტომ, რომ *"კორონავირუსები, ისევე როგორც ყველა "რნმ"–ს შემცველი ვირუსი, საკმაოდ სწრაფ მუტაციას განიცდის, იძენს გენეტიკურ და შედეგად ანტიგენურ ცვალებადობას. ამიტომ, საჭვოა, რომ ვაქცინა შეძლებს უზრუნველყოს ვირუსის ყველა განვითარებადი შტამის (მუტაციის) თანაბარი მოცვა, ასევე მუდმივი დაცვა ხანგრძლივი დროის განმავლობაში".* ისიც ხომ მართალია, რომ კაცობრიობის ვაქცინაციასთან ერთად ისინი არ აცრიან ღამურებს, საიდანაც კორონავირუსი მოვიდა ქ. უჰანში, და არ აცრიან შუალედურ გადამტანებს (სავარაუდოდ ეს ღორებია). ამიტომ, გარკვეული *"გლობალური ვაქცინაციიდან გარკვეული დროის შემდეგ, ვირუსს შეუძლია გადაეცეს ადამიანებს თავისი არსებობის ბუნებრივი წყაროებიდან*

(ღამურებისგან ან ღორისგან), ამავე დროს ის იმდენად მუტირებდეს, რომ გვერდი აუაროს არსებულ კოლექტიურ იმუნიტეტს და გამოიწვიოს დაავადების ახალი აფეთქებები". ამიტომ, წერს მთაწმინდელი ბერი პავლე, საკითხი არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი ვაქცინაციით. მას აუცილებლად მოჰყვება მეორე, მესამე, მეოთხე ... *"იქნებ სწორედ ეს არის მათი საჭირო მიზანი?* - კითხვას სვამს იგი - *იქნებ კორონავირუსი არის ის დიდი ხნის ნანატრი საბაბი იმისათვის, რომ დაიწყოს უნივერსალური გადასვლა ადამიანის ჰიბრიდულ ბიოლოგიაზე გენეტიკური ინჟინერიის საშუალებით რეგულარული ვაქცინაციის გზით?"* (იხ. ინტერნეტ პორტალი "მართლმადიდებელი აპოლოგეტი").

3. მსოფლიო მთავრობის შექმნის მიღწევა

როგორც აღვნიშნეთ "პანდემიის" ორგანიზატორების ერთ–ერთი მიზანი მსოფლიო მთავრობის შექმნაა. აი, რას ამბობს ზემოთ ხსენებული WHO-ს პირველი გენ. დირექტორი, ბროკ ჩისხოლმი თავის 1948 წლის მემორანდუმში:

"მსოფლიო ხელისუფლებასთან რომ მივიდეთ, აუცილებელია ადამიანთა ცნობიერებიდან განვდევნოთ მათი ინდივიდუალობა, ოჯახურ ტრადიციებთან მათი მიჯაჭვულობა, ეროვნული პატრიოტიზმი და რელიგიური დოგმები...ჭეშმარიტებისა და სიცრუის ცნებების წაშლა, რასაც ემყარება ბავშვთა აღზრდა, უფროსთა გამოცდილებისადმი ნდობის შეცვლა რაციონალური აზროვნებით – აი, ესაა დაგვიანებული მიზნები, რაც საჭიროა ადამიანთა ქცევის შესაცლელად".



ჟაკ ატალი, ფრანსუა მიტერანის ეს ყოფილი ფავორიტი, 2009 წლის 3

მაისით დათარიღებულ ჟურნალ **«L'Express»**-ში გამოქვეყნებულ თავის რუბრიკაში აღნიშნავდა, რომ იქ, სადაც ფინანსურმა კრიზისმა წარმატება ვერ მოიპოვა (საუბარია 2008 წელს ხელოვნურად შექმნილ ფინანსურ კრიზისზე, რომელსაც იგივე მიზანი ჰქონდა, რაზეც ჟაკ ატალი საუბრობს), კარგმა პატარა პანდემიამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი კონსტრუქციული შიშის ინიცირება, რომ აღძრას ქვეყნის ხელმძღვანელები, რათა შეთანხმდნენ მსოფლიო მთავრობის შექმნაზე თავდაპირველად მისთვის რამდენიმე ფუნქციის დელეგირებით, მათ შორის საერთო პოლიციის, საბაჟოს და ა.შ. სახით.

ამჟამინდელი "პანდემიის" ორგანიზატორების ამ საიდუმლო მიზანთან დაკავშირებით ცოტა ხნის წინ თავისი მოსაზრება გამოთქვა მღვდელ–მონაზონმა ექვთიმე კაპსალელმა, თანამედროვე ათონის ავტორიტეტულმა მოძღვარმა, წმ. პაისი ათონელის მოწაფემ: ***"ბოლო დრომდე ეს უცნაური და შეუძლებელი ჩანდა, მაგრამ ეს არ არის ფანტაზია, იმიტომ, რომ ეს ხალხი უკვე საჯაროდ საუბრობს მსოფლიო დიქტატურაზე (როგორც ანტიქრისტეს მოსვლისთვის მზადებაზე). მაგრამ გვესმის კი ეს ჩვენ?".*** გვესმის კი ჩვენ, რომ ხელოვნურად გამოცხადდა პანდემია იმ მიზნით, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს,

გებრეისუსს ჰქონოდა საფუძველი, გაეკეთებინა შიშის მომგვრელი განცხადებები იმის შესახებ, რომ ნებისმიერ დროს ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება დაიწყოს დამანგრეველი ეპიდემია, რომელსაც მილიონობით ადამიანის დახოცვა შეეძლება. და რომ ამ საშიში განცხადებებიდან გაკეთდეს გლობალური დასკვნა: ***"არცერთ ორგანიზაციას, არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ამ პანდემიის დაძლევა ცალ–ცალკე ... ჩვენ ვერ დავამარცხებთ ამ პანდემიას, თუ მსოფლიო დაყოფილი იქნება"***, - როგორც ეს გებრეისუსმა თქვა. "WHO"–ს თავკაცის აზრით, დღეს მსოფლიოში ყველაზე დიდი საფრთხეა

არა იმდენად თავად ვირუსი, არამედ ***"გლობალური სოლიდარობისა და გლობალური ლიდერობის არარსებობა"***. აი, ასე ამოტივტივდა ზედაპირზე საიდუმლო მიზანი, რომლისთვისაც მთელ მსოფლიოში ხორციელდება სტრატეგიული ოპერაცია, კოდური სახელწოდებით "პანდემია". პანდემია აღმოჩნდა ეფექტური საფრთხობელა კაცობრიობისათვის, რათა კაცობრიობა დათანხმდეს ერთ "გლობალურ ლიდერზე" არც თუ შორეულ მომავალში. და როგორც გარდამავალი ეტაპი - დათანხმდეს გაერთიანებული მსოფლიოს ერთიან "გლობალური ლიდერობის არსებობაზე" , ანუ მსოფლიო მთავრობაზე.

WHO–ს გენერალურმა დირექტორმა თავისი განცხადება გააკეთა 2020 წლის 22 ივნისს ჯანდაცვის ონლაინ ფორუმზე, რომელიც არაბთა გაერთიანებული საემიროს ორგანიზებით გაიმართა. მან ეს საჯაროდ განაცხადა, რადგან თვლიდა, რომ დაშინებული კაცობრიობა უკვე მომწიფებული იყო ამისათვის. ახლა გებრეისუსის და სხვა გლობალისტების ამოცანაა, გააგრძელონ შიშის თავზარდაცემა, არ მისცენ ხალხს დამშვიდების საშუალება, რათა მათ უარი არ თქვან გლობალური მსოფლიო მთავრობის იდეაზე. ამ მიზნით შეითითხნება "კორონავირუსის მილიონობით მსხვერპლის" ციფრები მთელ მსოფლიოში და თითოეულ ცალკეულ ქვეყანაში. ამიტომ არ უნდა მივიღოთ მათი განცხადებები სარწმუნოდ. ასეთია, მაგალითად, WHO–ს ხელმძღვანელის განცხადება, რომელიც გაკეთდა 2020 წლის 19 ივნისს პანდემიის "ახალი და საშიში ფაზის" დაწყების შესახებ, რომელიც, თურმე, გაჩნდა იმასთან დაკავშირებით, რომ ხალხი დაიღალა საკარანტინო მოთხოვნების დაცვით.

ციფრების შეთითხვნა არ არის რთული. საკმარისია მეტი ტესტების ჩატარება – და ციფრები გაიზრდება. იმიტომ, რომ, როგორც ცნობილია, შემთხვევათა 80%–ს კორონავირუსის დაავადება მსუბუქი ფორმით აღენიშნება, და ბუნებრივია, ასეთი ავადმყოფები არ თვლიან საჭიროდ ტესტირების

ჩატარებას, თუკი ამას მათ არ აიძულებენ. ხოლო ერთ დღეს, თუ მათ ამას აიძულებენ, გაჩნდება "ახალი" დაავადებულების მაღალი რიცხვები, თუმცა კი ისინი, შესაძლოა, სულაც არ არიან "ახალნი", არამედ ავადმყოფობენ უკვე გარკვეული დროის განმავლობაში, უბრალოდ აქამდე არ იყვნენ ტესტირებულნი, რადგან ამის აუცილებლობა არ იყო. ეს პრინციპი მარტივია. და ასე ითითხნება კორონავირუსით დაავადების სტატისტიკა. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ გლობალისტებს შეუძლიათ ხელოვნური მეთოდებითაც დაიწყონ ხალხის მასიური ინფიცირება, მაგალითად ინფიციფრებული ტესტირების საშუალებებით, რაზეც ზემოთ იყო საუბარი.

მღვდელ–მონაზონი პავლე აცხადებს, რომ Covid19, სეზონური გრიპისგან განსხვავებით, ძირითადად "მესამე" და "მეოთხე" ასაკობრივი ჯგუფისათვის არის საშიში. ინფიცირებულთა 99% მას უმკლავდება, ხოლო 1% მაღალი რისკის ჯგუფს შეადგენს. ამიტომ აბსურდულია და უაზროა ვაქცინაციის შემოღება დედამიწის მოსახლეობის 100%–სათვის, იმისათვის, რომ "დავიცვათ" მოსახლეობის 1% გრიპის მსგავსი ვირუსისაგან. მითუმეტეს, რომ ვაქცინაცია ამ 1%–სთვისაც არ არის გადარჩენის გარანტია, ხოლო 99% პროცნტს ემუქრება შესაძლო ნეგატიური გვერდითი მოვლენებით. ამის უაზრობა იმითაც დასტურდება, რომ გასული მრავალი წლის განმავლობაში არ ხდებოდა ვაქცინაცია სეზონურ გრიპთან დაკავშირებით, რომელიც უფრო გამართლებული იქნებოდა იმის გათვალისწინებით, რომ იგი ყველა ასაკობრივ ჯგუფს ვნებს.

ამასთან, თუკი ვაქცინაცია, მავანთა თვალსაზრისით, დასნებოვნებისგან იცავს აცრილ ადამიანს, ნებისმიერი ადამიანის არჩევანი, არ გაიაროს ვაქცინაცია, არ აყენებს საფრთხის ქვეშ საზოგადოებრივ ჯანმრთელობას, რადგან ის არ უარყოფს სხვა მსურველის უფლებას, გაიკეთოს ვაქცინაცია, რომლის შედეგებზეც ის არის თავად პასუხისმგებელი. ნებისმიერი ვალდებულება ვაქცინაციის სფეროში, რომელიც ძალმომრეობრივად თავს ეხვევა ადამიანს, გაკიცხვისა და

დასჯის ღირსია, რადგან წარმოადგენს დანაშაულს ადამიანის წინააღმდეგ, რომელსაც უფლება აქვს ისე იცხოვროს, რომ მის სხეულში არ შეიყვანონ მისთვის საეჭვო ნივთიერება. ამ უფლების უგულვებელყოფა ნებისმიერ დემოკრატიულ საზოგადოებას უუფლებო და უმწეო ცხოველების ჯოგად აქცევს.

მღვდელ–მონაზონი პავლე აცხადებს, რომ სავალდებულო ვაქცინაციის დაკანონებასა და მასთან დაკავშირებულ პროპაგანდას არ გააჩნია არანაირი მეცნიერული საფუძველი. ეს დაუშვებელია ასევე სამართლებრივი და, უპირველეს ყოვლისა, სულიერი თვალსაზრისით. ის კი არ იცავს, არამედ ვნებს საზოგადოებრივ ჯანდაცვას და ემსახურება მსხვილი კორპორაციების ეკონომიკურ და მავანი "დიდი მოქალაქეების" ბნელ ინტერესებს, რომელთაც სურთ, იბატონონ მსოფლიოზე. საზოგადოდ, ისინი ეწინააღმდეგებიან ადამიანის სულისა და სხეულის თავისუფლებას. არც ის არის შემთხვევითი, რომ ხდება წმინდა ზიარების საიდუმლოს დესაკრალიზაცია, რითაც ცდილობენ, რომ ექსპლუატაცია გაუწიონ ადამიანთა შიშს, რათა ხელი შეუწყონ მით მიერ აცრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

4. დედამიწის მოსახლეობის შემცირება

ამა სოფლის მმართველებს რომ მოსახლეობის შემცირების გეგმები აქვთ, ეს უკვე კარგა ხანია არ შეადგენს საიდუმლოს. მაგალითად, დ. როკფელერის მიერ 1968 წელს დაარსებული "რომის კლუბის" პროგრამულ საკითხებს შორისაა შობადობაზე კონტროლი, მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, დეინდუსტრიალიზაცია, მსოფლიო მთავრობის შექმნა და ა.შ. მალთუზიანური პოლიტიკის ჩრდილოვანი მესვეურების მიზანია მოსახლეობის

"ოპტიმიზირება" 1 მილიარდამდე, რომელსაც ისინი "ოქროს მილიარდს" უწოდებენ. აი, როკფელერის ფონდის ზემოთხსენებულ დოკუმენტში "Scenarios for the Future of Technology and International Development" მე–18 გვერდზე აღწერილი პანდემიის სცენარიდან ამონარიდი: ***"2012 წელს გაჩაღდა უდიდესი პამდემია, რომელსაც მსოფლიო მრავალი წლის განმავლობაში ელოდა. ეს ახალი შტამი, რომელიც გარეულმა ბატებმა გაავრცელეს, უკუდურესად საშიში აღმოჩნდა...პლანეტის მასშტაბით დასნებოვნდა მოსახლეობის 20%. 8 მილიონი პირველ 7 თვეში გარდაიცვალა...".***

ხედავთ, სცენარშიც ვირუსი ფრინველისგან გავრცელდა. თუმცა მიმდინარე "პანდემიის მასშტაბი" გაცილებით მცირეა, ვიდრე სცენარში აღწერილი. WHO–ს ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობდა, რომ C19–ით მოსახლეობის 2/3 დაავადდებოდა. გავიხსენოთ, თუ რას ამბობდა გერმანიის კანცლერი, ანგელა მერკელი C19 ვირუსთან დაკავშირებით, რომ მისით მოსახლეობის 70% დასნებოვნდებოდა. სავარაუდოდ, საიდუმლო დოკუმენტებში, რომელზეც მას ხელი მიუწვდებოდა, ასე იყო დაგეგმილი. მაგრამ, როგორც ჩანს, SARS-CoV-2–ის შტამმა ვერ გაამართლა "პანდემიის" შემოქმედთა იმედები და ვირუსული აფეთქება "პანდემიად" ხელოვნურად გადააქციეს, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

მოსახლეობის შემცირებაზევე საუბრობს ბილი გეითსი ერთ–ერთ კონფერენციაზე და ამის განსახორციელებლად ის ვაქცინასა და ვაქცინაციას გვთავაზობს. იმავე საკითხზეა საუბარი ამერიკელ ჟურნალისტთა გამოკვლევაში, ზემოთხსენებული მიკი ვილისის ფილმში "პლანდემიური გონებადაბნელებულობა".

მსოფლიოში ცნობილმა მეცნიერმა მედიცინისა და მიკრო–ბიოლოგიის დარგში, ჯუდი მიკოვიჩმა, რომელიც აშშ–ს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში

მუშაობდა და რომლის 1991 წლის სადოქტორო დისერტაციამ რევოლუცია მოახდინა აივ–შიდსის მკურნალობის სფეროში, სამეცნიერო ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია, დაწერა წიგნი "კორუფციის შავი ჭირი", რომელშიც ამხილა მსოფლიოში ცნობილი პიროვნებები და აშშ–ს სამსახურები, ვინც ფულის სანაცვლოდ ახორციელებს ბილ გეითსის, როკფელერის ფონდის, სოროსისა და სხვა "დიდი გვარების" პოლიტიკას, მითითებებს. მათ ერთობლივად შეიმუშავეს და დაგეგმეს C19-ის სინამდვილეში არარსებული პანდემია იმ მიზნების მისაღწევად, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. იგი აფრთხილებს კაცობრიობას, რომ იგი ძალიან საშიშ და საბედისწერო თამაშში ჩაითრიეს, რომლის მიზანია კაცობრიობის დამონება და მართვა ცრუ პანდემიის, ვაქცინაციის, მსოფლიო მთავრობის შექმნისა და სხვა მეთოდების გამოყენებით. ამის შესახებ ის ღიად საუბრობს მიკი ვილისის ფილმში PLANDEMIC MOVIE (Part 1), Judy Mikovits.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები დიდ შეშფოთებას იწვევენ მთელ მსოფლიოში, მეცნიერებსა და სპეციალისტებში. მაგალითისათვის, 6000–ზე მეტმა მეცნიერმა და ექიმმა მოაწერა ხელი დეკლარაციას იმ საკარანტინო ზომების შემოღების წინააღმდეგ, რომლებიც მოქმედებენ აშშ–სა და დიდ ბრიტანეთში. პეტიციას, რომელიც შედგა მასაჩუსეტში და ეწოდა "ბარინგტონის დიდი დეკლარაცია" (Great Barrington Declaration – https://gbdeclaration.org/), უკვე ხელი მოაწერა 2600–ზე მეტმა მეცნიერმა სამედიცინო დარგში, 3500–მდე სპეციალისტმა და 54 000–ზე მეტმა მოქალაქემ. პეტიციაში კერძოდ ნათქვამია: ***"როგორც ეპიდემიოლოგ–ინფექციონისტები და მეცნიერები ჯანდაცვის დარგში ჩვენ სერიოზულად ვართ შეშფოთებულები COVID-19 პოლიტიკის დამღუპველი ზემოქმედებით ადამიანთა ფიზიკურ და ფსიქიურ ჯანმრთელობაზე... ჩვენ ჩვენი კარიერა მივუძღვენით ადამიანთა დაცვას. იზოლაციის ამჟამინდელი პოლიტიკა დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენს მოსახლეობის***

ჯანმრთელობაზე როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. შედეგები (და ეს მხოლოდ ზოგიერთი მათგანია) მოიცავს ბავშვთა იმუნიზაციის დაბალ მაჩვენებელს, გულ–სისხლძარღვთა დაავადებების გაუარესებას, კიბოზე გამოკვლევების შემცირებას და ფსიქიური ჯანმრთელობის გაუარესებას, რაც უახლოეს წლებში მიგვიყვანს სიკვდილიანობის უფრო მაღალ მაჩვენებლებამდე... მათ, ვინც მოწყვლადნი არ არიან, უფლება უნდა მიეცეთ დაუბრუნდნენ ნორმალურ ცხოვრებას. სკოლები და უნივერსიტეტები ღია უნდა იყოს დასწრებითი მეცადინეობებისათვის. უნდა გაიხსნას რესტორნები და სხვა საწარმოები. უნდა განახლდეს მეცადინეობები ხელოვნებაში, მუსიკაში, სპორტსა და სხვა კულტურულ ღონისძიებებში. მაღალი რისკის მქონე ადამიანებს, თუ უნდათ, შეუძლიათ ამაში მონაწილეობა მიიღონ, იმავდროულად საზოგადოება მთლიანობაში სარგებლობს დაცვით, რომელსაც მოწყვლადებს აძლევენ ისინი, ვინც ქმნიან კოლექტიურ იმუნიტეტს..."

2020 წლის 4 ოქტომბერს ამ განცხადებას გრეიტ–ბარინგტონში ხელს აწერენ ავტორები:

✓ დოქტორი მარტინ კულდორფი (Dr. Martin Kulldorff), ჰარვარდის მედიცინის პროფესორი, ბიოსტატისტი და ეპიდემიოლოგი;

✓ დოქტორი სუნეტრა გუპტა (Dr. Sunetra Gupta), ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ეპიდემიოლოგი, სპეციალიზაციით იმუნოლოგიის, ვაქცინის შემუშავებისა და ინფექციური დაავადებების მათემატიკური მოდელირების დარგში;

✓ დოქტორი ჯეინ ბხატაჩარია (Dr. Jay Bhattacharya), სტენფორდის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის პროფესორი, ექიმი, ეკონომისტი ჯანდაცვის დარგში და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის ექსპერტი,

სპეციალიზაციით ინფექციური დაავადებებისა და მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების საკითხებში.

თანახელმომწერები არიან ცნობილი მეცნიერები კემბრიჯის, ოქსფორდის, სტენფორდის, ბუკინგემის, ექსეტერის, ედინბურგის, სასექსის, კანტერბურისა და სხვა უნივერსიტეტების, აშშ–ს, ბრიტანეთის, კანადის, ინდოეთის, შვედეთის, ისრაელის, ახალ ზელანდიისა და სხვა ქვეყნების ჰოსპიტალების, სამედიცინო დაწესებულებებისა და სკოლების წამყვანი სპეციალისტები.

მსურველებს შეუძლიათ ხელი მოაწერონ საიტზე: https://gbdeclaration.org/#read

დასასრულს მოვიყვანთ შინაარსობრივ ამონარიდებსა და ციტატებს ცნობილი იურისტის, დოქტორ რეინერ ფულმიჩის (Dr. Reiner Fuellmich) მიერ გავრცელებულ მიმართიდან მსოფლიო საზოგადოები–სადმი (https://www.bitchute.com/video/kZAHIhkF6GuQ/). დოქტორ რეინერ ფულმიჩი უკვე 26 წელია არის გერმანიისა და კალიფორნიის ადვოკატთა კოლეგიის წევრი. დაკავებულია საქმეებით მსხვილი თაღლითი კორპორაციების წინააღმდეგ. ცნობილია მისი სარჩელები "დოიჩე ბანკის", "ფოლკსვაგენისა" და სხვათა წინააღმდეგ. იგი, ასევე, არის ოთხთაგან ერთ–ერთი წევრი კორონავირუსთან დაკავშირებით შექმნილი გერმანიის საგამოძიებო კომისიისა, რომელიც 2020 წლის 10 ივლისიდან განიხილავს მრავალი მოწმის, მთელი მსოფლიოდან მეცნიერთა და ექსპერტთა ჩვენებებს იმ მიზნით, რომ პასუხი გაეცეს მრავალ შეკითხვას. ის აცხადებს, რომ კორონავირუსის კრიზისმა მთელს მსოფლიოს უდიდესი ზარალი მიაყენა. აი, ციტატა მისი საჯარო განცხადებიდან: ***"იქიდან გამომდინარე, რაც ჩვენ დღეს უკვე ვიცით, არის ის, რომ ამ კორონაკრიზისს უნდა გადავარქვათ სახელი და ვუწოდოთ კორონასკანდალი, და მათ, ვინც იგი მოაწყო, პასუხი უნდა აგონ... პოლიტიკური თვალსაზრისით უნდა გაკეთდეს ყველაფერი იმისათვის, რომ***

მომავალში ვერავენ შეძლოს კვლავ მოატყუოს კაცობრიობა, ან ცადოს ჩვენით მანიპულირება თავისი ბოროტი გეგმების განსახორციელებლად. ამ მიზნით მე აგიხსნით, როგორ და სად წარმართავს იურისტთა საერთაშორისო საზოგადოება ისტორიაში ამ ყველაზე მსხვილ, კორონა–თაღლითობის საქმეებს, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, არის ყველაზე დიდი დანაშაული კაცობრიობის წინააღდეგ"(ციტატის დასასრული).

დოქტორი ფულმიჩი აცხადებს, რომ გერმანიის საგამოძიებო კომისიის მუშაობის შედეგად შეიძლება ვამტკიცოდ:

1. ადგილი აქვს არა კორონა პანდემიას, – რადგან covid19 არ ხასიათდება დიდი სიკვდილიანობით, – არამედ ხელოვნურად შექმნილ "პჯრ" (PCR - პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია) ტესტების პანდემიას. ამ ტესტირების შედეგები სავალალოა: ადამიანთა მსხვერპლი, დანგრეული ეკონომიკა, გაკოტრებული საწარმოები და კომპანიები. ამასთან აღსანიშნავია, რომ "პჯრ" ტესტის დადებითი შედეგი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი ნამდვილად არის დაავადებული კორონა ვირუსით. ამას თავად WHO–ც ადასტურებს. მაგალითად, უბრალო სურდოს შემთხვევაშიც "პჯრ" ტესტმა შეიძლება დადებითი შედეგი აჩვენოს. სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის ჰამბურგელი სპეციალისტის, პროფესორ კლაუს პუშერის მიერ გარდაცვლილთა გაკვეთებმა აჩვენეს, რომ ავადმყოფთა სიკვდილიანობის ნამდვილი მიზეზი უმრავლეს შემთხვევაში იყო სერიოზული ქრონიკული დაავადებები და არა სახელდობრ C19, ისევე როგორც ეს ხდება სეზონური გრიპის დროს. ამასთან, ცნობილი გახდა ისიც, რომ ექიმებსა და საავადმყოფოებს მთელ მსოფლიოში ფულს უხდიდენ იმაში, რომ გარდაცვალების მიზეზად კორონავირუსი მიეთითებინათ და არა ნამდვილი მიზეზი, მაგალითად, გულის შეტევა ან ცეცხლსასროლი ჭრილობა.

2. საკარანტინო ზომები: ნიღბები, დისტანცირება, თვითიზოლაცია და ა.შ. სინამდვილეში წარმოადგენს არა დაცვის აუცილებელ ზომებს, არამედ ტარდება იმისათვის, რომ

დაითესოს საყოველთაო პანიკა, რათა ადამიანებმა არ დასვან ზედმეტი შეკითხვები და დაიჯერონ, რომ მათ საფრთხე ემუქრებათ. გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროდან გაჟონილ საიდუმლო დოკუმენტში ნათქვამია, რომ პოლიტიკოსები და საინფორმაციო საშუალებები ხელოვნურად "ბერავდნენ" პანიკას.

3. პანდემიამ დიდი მოგება მოუტანა მსოფლიოს დიდ ფარმა–მაფიას, ანტისხეულებისა და ანტიგენების "PCR" ტესტების თუ ვაქცინების გაყიდვით. ამით ისარგებლეს ჩვენი გენეტიკური მასალის შეგროვებით დაინტერესებულებმაც, რამაც შეიძლება მომავალში დიდი საფრთხე შეუქმნას კაცობრიობას ტოტალიტარულ–ფაშისტური მოდელის დამკვიდრებით.

დასასრულს დოქტორი რეინერ ფულმიჩი აცხადებს (ციტატა): *"იქიდან გამომდინარე, რომ ანტიკორონავირუსულმა ზომებმა მიაყენეს და კვლავაც აყენებენ კატასტროფულ ზიანს ადამიანთა ჯანმრთელობასა და ეკონომიკას მთელ მსოფლიოში, დანაშაული, ჩადენილი ბატონ დროსტენის, ვილერისა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდექსის მე–7 პარაგრაფის შესაბამისად... ეს სკანდალური ფაქტები, შეგროვებული საგამოძიებო კომისის მიერ, არის ის ფაქტები, რომელთა უტყუარობა მალე დამტკიცდება მრავალ სასამართლოში. ეს ფაქტები ჩამოხსნის ნიღაბს ყველა მათ, ვინც პასუხს აგებს ამ ბოროტმოქმედებებისათვის"* (ციტატის დასასრული).

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი